



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2012 წლის 6 ივლისის
 № 733 დადგენილებით
მოდულირებულია
 სტუ-ს აკადემიური საბჭოს
 2016 წლის 21 ივნისის
 № 2028 დადგენილებით

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

საჯარო მმართველობა

Public Administration

ფაკულტეტი

ბიზნეს-ინჟინერინგის

Business-Engineering Faculty

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

სრული პროფესორი შოთა დოლონაძე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საჯარო მმართველობის დოქტორი
 (Doctor in Public Administration)

მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 180 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

პროგრამის მოცულობა კრედიტებით

180 კრედიტი

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

მოამზადოს უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი საჯარო მმართველობაში, რომელსაც ექნება :

- საფუძვლიანი, ღრმა და უახლესი ცოდნა სახელმწიფოს მშენებლობის, მისი კონსტიტუციური მოწყობისა და ეფექტიანად მართვის მიმართულებით;
- უნარი მოამზადოს ფუნდამენტური ანალიტიკური ნაშრომები და პუბლიკაციები, მოხსენებები და გამოსვლები საჯარო მმართველობის აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირებით;

- ღრმად გაცნობიერებული საჯარო მმართველობის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის მეთოდოლოგია;
- ცოდნის მაღალი სტანდარტი, რომელიც შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ დონეს სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის სპეციალისტებისათვის, ზოგადად საჯარო მოსამსახურისათვის.
- უნარი დაგეგმოს საქმიანობა საჯარო სამსახურის დაწესებულებაში/ორგანოში, მიიღოს საჭირო გადაწყვეტილებები თავის კომპეტენციის ფარგლებში, დაანაწილოს დავალებები და გააკონტროლოს მათი შესრულება.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დიპლომი. მხედველობაში მიიღება: სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა; სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა; სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.).
გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიასთან.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

ცოდნა და გაცნობიერება

- მიმართულებათაშორისი დარგების სფეროს თანამედროვე პარადიგმებსა და უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რაც იმის ფართე შესაძლებლობებს იძლევა თავის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოიყენოს ინოვაციური მეთოდები. მოამზადოს არსებული სტანდარტების შესაბამისი ნაშრომები და გამოაქვეყნოს. კარგად გააცნობიეროს მისთვის აუცილებელი ცოდნის მიღების მნიშვნელობა და დღენიადაგ იზრუნოს ცოდნის მარაგის შევსებისათვის, შეძლოს დაგროვილი ცოდნისა და ემპირიული გამოცდილების გააზრება და საჭიროების შემთხვევაში სწორად გადაფასება.
- საჯარო მმართველობის სამამულო და საზღვაგარეთის სისტემის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა. მართვის თანამედროვე მიღწევებისა და ნოვაციების სწორი და შემოქმედებითი გააზრება, მათი პრაქტიკაში დანერგვისათვის მზადყოფნა; საჯარო სამსახურში არსებულ სიახლეებზე ინფორმაციების მოპოვება, ღრმა ანალიზი და ანალიტიკურ/სამეცნიერო ნაშრომად ჩამოყალიბების უნარი; საჯარო მმართველობისა და ზოგადად მართვის უახლესი ფორმებისა და მეთოდების შესახებ ინფორმაციის გაცნობიერება, გავრცელება და ამ თვალსაზრისით სწავლების ორგანიზება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობის საჭიროებისათვის კვლევის ინოვაციური სისტემის დაგეგმვა, ჩატარება და ხელმძღვანელობა; ისეთი მეთოდებისა და ფორმების შემუშავება, რომლებიც საშუალებას შექმნიან თანამედროვე მოთხოვნებისა და გამოწვევების დონეზე განხორციელდეს ანალიტიკური კვლევები და საქმიანობა, რაც უზრუნველყოფს ახალი ცოდნის დაგროვებისა და სამეცნიერო პუბლიკაციებით გავრცელების საშუალებას უპირატესად საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში.
- საჯარო სამსახურში, სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ინოვაციური სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა, განხორციელება და ზედამხედველობა. მართვის თანამედროვე პარადიგმების შესაბამისი კვლევითი და ანალიტიკური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, მათზე დაფუძნებული ახალი ცოდნისა და გამოცდილების ანალიზი და გავრცელება საერთაშორისო რეფერირებული პუბლიკაციების საშუალებით. საჯარო სამსახურში არსებული უახლესი გამოწვევების საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვა და რეალიზაცია.

დასკვნის უნარი

- თანამედროვე მოთხოვნების დონეზე აუცილებელი მეთოდოლოგიის შემუშავებისა და დანერგვის მიზნით ისეთი ანალიზებისა და კრიტიკული შეფასებების სინთეზი, რომელსაც მხოლოდ მაღალპროფესიული მუშაკების ჩართულობა განაპირობებს. გადაწყვეტილებების შემუშავებისა და მიღებისათვის აუცილებელი შეფასებებისა და ინფორმაციის დამუშავების

შედეგად ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება.

- საჯარო მმართველობის სფეროში მიმდინარე პროცესებზე სრული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) მოპოვება, თანამედროვე სისტემების დახმარებით გადამუშავება და მათი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; პრობლემის გადაჭრისათვის თანამედროვე ინტერაქტიური მეთოდების გამოყენებით სათანადო გადაწყვეტილებების შემუშავება, მიღება და განხორციელების ორგანიზება.

კომუნიკაციის უნარი

- კომუნიკაციისტიკის პრინციპების ცოდნა, მიღებული ცოდნის წარმოჩენის უნარი. უცხოურ ენაზე თემატურ პოლემიკაში ჩართვა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან, მათან მეცნიერული მიღწევების გაცვლა.
- მშობლიურ და უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარი. სახელმწიფო ენაზე ლაკონურად, გასაგებად და გრამატიკული წესების დაცვით წერა. თავის დასკვნების, არგუმენტებისა და კვლევის მეთოდების შესახებ აუდიტორიისათვის გასაგები ენით გადაცემისა და მსმენელთა დარწმუნების უნარი. კომუნიკაციისას - ადამიანებთან ურთიერთობისას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. უნარი მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან პოლემიკაში უცხო ენაზე.

სწავლის უნარი

- სიცოცხლის განმავლობაში სწავლისათვის მზაობა, ცოდნის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ახალი იდეების, ინიციატივებისა და წამოწყებების ათვისების უნარი.
- სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეების ან პროცესების განვითარების გენერირება სწავლის, საქმიანობისა და კვლევის პროცესში. მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ორგანიზაციისათვის ხელშეწყობა. საჯარო მმართველობაში საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული მთავრობის პრინციპების დანერგვის ფართე პროპაგანდა და განხორციელებისათვის მზადყოფნა.

ღირებულებები

- დამოუკიდებელი, ერთიანი და ძლიერი სახელმწიფოს ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და ამ მიზნით ინოვაციური მეთოდების შემუშავება. საქართველოს სახელმწიფოს ათასწლოვანი ისტორიული მემკვიდრეობის ახლებური შეფასება და მასზე დაყრდნობით ეროვნული იდეალების ერთგული, ტოლერანტული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება.
- ღირებულებათა დამკვიდრების გზების ძიება და ამისათვის თანამედროვეობისათვის შესაფერისი და აქტიური მეთოდების შემუშავება. პროფესიული ღირებულებების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა; ადამიანის, როგორც უმთავრესი ღირებულების პატივისცემისა და მისი უფლებების დაცვისათვის თანმიმდევრული ზრუნვა. ტოლერანტობის, შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოს შექმნაზე ზრუნვა და დამკვიდრება.

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

ლექცია პრაქტიკული სამეცნიერო-თემატური სემინარი კონსულტაცია
დამოუკიდებელი მუშაობა კვლევითი კომპონენტი დისერტაციის გაფორმება
დისერტაციის დაცვა.

სწავლების მეთოდები:

სწავლებისა და სწავლის ყველაზე გავრცელებული მეთოდები და მათი განმარტებები. მათგან საჭირო მეთოდს, კონკრეტული მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, შეარჩევს პედაგოგი.

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს

- სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
2. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.
 3. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
 4. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.
 5. **ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.
 6. **შემთხვევების შესწავლა (Case study)** – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, საინჟინრო უსაფრთხოების სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ავარიის ან კატასტროფის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში - კონკრეტული, მაგალითად, ყარაბახის პრობლემის (სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის) ანალიზი და ა. შ.
 7. **გონებრივი იერიში (Brain storming)** – ეს მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა 2 მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგადად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:
 - პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
 - დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
 - შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;
 - შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;
 - გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;
 - უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.
 8. **როლური და სიტუაციური თამაშები** – წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.
 9. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.
 10. **ინდუქციური მეთოდი** – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.
 11. **დედუქციური მეთოდი** – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას,

- რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულსაკენ.
12. **ანალიზის მეთოდი** – გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
 13. **სინთეზის მეთოდი** – გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.
 14. **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.** ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.
 15. **წერითი მუშაობის მეთოდი** – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.
 16. **ლაბორატორიული მეთოდი** – გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალის, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენება და სხვ.
 17. **პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, სავლე მუშაობა და სხვ.
 18. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
 19. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
 20. **პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია** – პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამალვებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.
 21. **ელექტრონული სწავლება (E-learning)** – გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიაური საშუალებებით. იგი მოიცავს სწავლების პროცესის ყველა კომპონენტს (მიზნები, შინაარსი, მეთოდები, საშუალებები და სხვ.), რომელთა რეალიზება ხდება სპეციფიკური საშუალებებით. ელექტრონული სწავლება არის სამი სახის:
 - დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პედაგოგისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით;
 - დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური დასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად, ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს;
 22. **ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური)** - სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება

შენიშვნა: შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და სკალები იხილეთ თანდართულ ფაილში **დანართი №1**

შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.

დადებით შეფასებად ჩაითვლება:

- (A) - ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) - ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) - კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) - საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

უარყოფით შეფასებად ჩაითვლება:

- (FX) - ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) - ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სადოქტორო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით:

ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (*bene*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

შეფასების ფორმები, მეთოდები, კრიტერიუმები და სკალები იხილეთ შესაბამისი სილაბუსებში და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულ დოკუმენტში "დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების წესი":

http://gtu.ge/study/scavleba/sadoqt_Sefas.pdf

დასაქმების სფერო

საჯარო სამსახური, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და საწარმოების მმართველობითი რგოლი, საერთაშორისო ორგანიზაციები, უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით.

1. მატერიალური რესურსი, იხ. თანდართულ ფაილში **დანართი №2**

2. პროგრამის ხელმძღვანელის და აკადემიური პერსონალის CV-ები, იხ. თანდართულ ფოლდერში **დანართი №3**

საგანმანათლებლო პროგრამის სქემა

№	საგნის კოდი	სასწავლო და კვლევითი კომპონენტები	I წელი		II წელი		III წელი		სულ კრედიტები
			I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	
		სასწავლო კომპონენტი	20	10	15	15			60
1.	AWSRM07-L	აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები	5						5
2	TMM0007-LSP	სწავლების თანამედროვე მეთოდები	5						5
3	EPA0007-LS	სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებული სპეცკურსი: სახელმწიფო მართვის ეფექტიანობა	10						10
4	MINS007-L	ეროვნული უსაფრთხოების მართვა და ინსტიტუტები		5					5
	-	პროფესორის ასისტენტობა		5					5
5	-	პირველი თემატური სემინარი			15				15
6	-	მეორე თემატური სემინარი				15			15
		კვლევითი კომპონენტი	10	20	15	15	30	30	120
1	-	სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი - 1	10						10
2.	-	სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი - 2		20					20
3.	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი - 1			15				15
4.	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი - 2				15			15
5.	-	თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი - 3					30		30
6.	-	დისერტაციის დასრულება, დაცვა						30	30
ECTS კრედიტები		სემესტრში	30	30	30	30	30	30	180
		სასწავლო წელს	60		60		60		180

სწავლის შედეგების რუკა

№	საგნის კოდი	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1.	AWSRM07-L	აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები	+	+	+	+	+	+
2.	MMT0007-LSP	სწავლების თანამედროვე მეთოდები	+	+	+	+	+	+
3.	EPA0007-LS	სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებული სპეცურსი: სახელმწიფო მართვის ეფექტიანობა	+	+	+	+	+	+
4.	MINS007-L	ეროვნული უსაფრთხოების მართვა და ინსტიტუტები	+	+	+	+	+	+
5.	-	პროფესორის ასისტენტობა						
6.	-	პირველი თემატური სემინარი						
7.	-	მეორე თემატური სემინარი						

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საათები		ECTS საათი	ლექცია	სემინარი	ჯგუფში მუშაობა	პრაქტიკული	შუალედური	დასკვნითი	დამოუკიდებელი მუშაობა
1.	AWSRM07-L	აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები	5/135	3/45				2	1	87
2.	TMM0007-LSP	სწავლების თანამედროვე მეთოდები	5/135	1/15	1/15	1/15		2	1	87
3.	EPA0007-LS	სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებული სპეცურსი: სახელმწიფო მართვის ეფექტიანობა	10/270	2/30	2/30			2	1	207
4.	MINS007-L	ეროვნული უსაფრთხოების მართვა და ინსტიტუტები	5/135	3/45				2	1	87

პროგრამის ხელმძღვანელი

შოთა დოლონაძე

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი

ივანე ჯაგოდნიშვილი

ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი

მაია ყიფიანი

მიღებულია

ბიზნეს-ინჟინერინგის
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
4 ივლისი 2012 წელი
ფაკულტეტის საბჭოს თავჯდომარე

რუსუდან უთათელაძე

მოდიფიცირებულია

ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის
საბჭოს სხდომაზე
13 მაისი 2016 წ.
ოქმი N 12

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

მაია ყიფიანი

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის
სამსახურის ხელმძღვანელი

გიორგი ძიძიგური